ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1658718

ნომერი: AR1266923

თარიღი : 19.11.2014

გაცემის თარიღი : 24.12.2014

გაცნობის თარიღი : 24.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტრო "დიდუბის" მიმდებარედ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ტრისტან დვალი პ/ნ 01006005412
- თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 69

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის მსუბუქი კონსტრქუციის ელექტრო გამანაწილებელი დროებითი შენობა-ნაგებობის განთავსების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, მეტრო „დიდუბის“ მიმდებარედ, შპს. „დიდუბე“–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის მსუბუქი კონსტრქუციის ელექტრო გამანაწილებელი დროებითი შენობა-ნაგებობის განთავსების ნებართვას. პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები N 01.13.03.051.007; სს „თელასი“–ს პროექტი #4103; შპს. „დიდუბე“–ს ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი) ქალაქგეგმარებით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, მეტრო „დიდუბის“ მიმდებარედ, შპს. „დიდუბე“–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის მსუბუქი კონსტრქუციის ელექტრო გამანაწილებელი დროებითი შენობა-ნაგებობის განთავსების (ქალაქის პირველივე მოთხოვნისთანავე დემონტაჟის პირობით) შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ დაცული იქნას მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge